ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2014 წლის 2 აგვისტო

ქ. გორი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი N1 შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2014 წლის 2 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაპუნა კობერიძე**

დანართი №1

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
I	საკრებულოს თავმჯდომარე	2750
II	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
III	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1500
IV	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1500
V	საკრებულოს აპარატის უფროსი	1490
VI	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	800
VII	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი	580